დადგენილება:**დ-37.37221661**
თარიღი:**15/06/2022**

დადგენილება N21

2022 წლის 15 ივნისი

ქ. ოზურგეთი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 209^3 მუხლის, 239-ე მუხლის, 240-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 46^5, 46^6, 172^8 და 172^9 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექციის“ თანამშრომლები - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 53^3, 55-ე, 55^2, მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 150-ე, 150^1 , 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 152-ე, 152^2, 153^4, 159-ე, 159^1, 172^6, 173^5 და 179^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

მუხლი 2.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებზეც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3 მუხლის შესაბამისად სამართალდარღვევის ადგილზევე ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა და სამართალდამრღვევზე ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექციის“ თანამშრომლები - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 55^6, 64^2, 77^1, 77^2, , 103-ე, 107^5 , 119^1 მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^4 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1-ე, 135-ე, 135^1, 146^1, 148-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^2 და 156^1 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

მუხლი 3.

თუ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში წინამდებარე დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული პირების მიერ შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის საფუძველზე წარმოებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვას არ მიაკუთვნებს საერთო სასამართლოების განსჯადობას, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი) და იმ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი), სადაც მუშაობს წინამდებარე დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

მუხლი 4.

დაევალოს ამ დადგენილების პირველი და მე-3 მუხლით განსაზღვრულ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს (სამსახურის უფროსი) და იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს (დირექტორი) სამართლებრივი აქტით განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ვალდებული იქნებიან სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში დადგენილი წესით აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

მუხლი 5.

ამ დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად სამართალდარღვევის საქმის ადგილზევე განხილვისას და სამართალდამრღვევზე ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის ადგილზევე შეფარდებისას, სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

მუხლი 6.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის შემდეგ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირის მიერ დაუყოვნებლივ მოხდეს ოქმის განსახილველად გადაგზავნა საამისოდ უფლებამოსილი ორგანოსადმი (სასამართლოსადმი, თანამდებობის პირისადმი).

მუხლი 7.

ამ დადგენილების საფუძველზე გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (მათ შორის საჯარიმო ქვითრის) წარმოებაზე და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი) და იმ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი), სადაც მუშაობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

მუხლი 8.

დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წარმოების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი, დანართი N1 შესაბამისად,

მუხლი 9.

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 10.

დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმები დანართი N3 და დანართი N4 შესაბამისად.

მუხლი 11.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 აპრილის №9 დადგენილება (www.matsne.gov.ge 08/04/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.113.016441).

მუხლი 12.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 2 მაისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი